**წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება**

N 48 10 10/09/2015

***გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე „ავასობის“ ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ***

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $10^1$-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად და წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-15 პუნქტის გათვალისწინებით:

1. მუნიციპალიტეტის გამართულად ფუნქციონირებისათვის გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე წალკის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს უფლება „ავასობის“ ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვებისათვის აუცილებელი ხელშეკრულებების მომზადების და 7000 ლარის გამოყოფის.
2. განკარგულება ძალაშია ხელისმოწერისთანავე.
3. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

ი. გიგინეიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე